ხელშეკრულება №26
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი **26 / თებერვალი / 2021 წელი**

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“, შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის - თენგიზ აფხაზავას სახით და მეორე მხრივ, შპს „ჰელსი ფუდ“, შემდგომში - „მიმწოდებელი”, წარმოდგენილი მისი დირექტორის - ნინო ებიაშვილის სახით, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით (SMP210000549) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **რძის პროდუქტები, კერძოდ:**

- **CPV - 15511100 პასტერიზებული რძე;**
- **CPV - 15511600 მაწონი**
- **CPV - 15500000 არაჟანი**
- **CPV - 15542100 ხაჭო**

(შემდგომში - „საქონელი“);

1.2 საქონლის ტექნიკური მახასიათებლები, რაოდენობა, ერთეულისა და საერთო ფასები, წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი განისაზღვრება დანართებით N1,2,3, რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებს.

2. ხელშეკრულების ღირებულება:

2.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს **99,500.00** (ოთხმოცდაცხრამეტი ათას ხუთასი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები:

3.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო;

3.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ეროვნული ვალუტა (ლარი);

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ორკვირაში ერთჯერ, მიწოდებული საქონლის ღირბულების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

3.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

4. მიღება-ჩაბარების წესი:

4.1 საქონლის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5. საქონლის მიწოდების პირობები:

5.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად კვირაში ორჯერ;

5.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო/სავარაუდო რაოდენობას, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის ობიექტის ფაქტობრივი ათვისება დამოკიდებული იქნება ბავშვთა ფაქტიურ გამოცხადებაზე;

5.3 მისაწოდებელი საქონლის კონკრეტული რაოდენობა და მიწოდების კონკრეტული დღე(ები) განისაზღვრება შემსყიდველისგან ელექტრონული ფორმით წინასწარ მიცემული შეკვეთის საფუძველზე. მიმწოდებლს შეკვეთა გადაეგზავნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე @mail), შემსყიდველის მიერ ელექტრონული

ფოსტით გაგზავნილი შეკვეთის გაგზავნის თარიღი ითვლება - შეკვეთის მიცემის თარიღად, ხოლო შეკვეთაში დაფიქსირებული მიწოდების თარიღი - მიწოდების თარიღად;

5.4 საქონლის მიწოდებისთვის შემსყიდველი მიმწოდებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არაუმეტეს 1 დღისა;

5.5 მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდების დროს საქონელი განათავსოს საბავშვო ბაღის წარმომდგენლის მიერ მითითებულ ადგილზე;

6. საქონლის მიწოდების ვადა:

6.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან - ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2021 წლის 8 თებერვალს გამოცხადებული NAT210002312 აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ფარგლებში მიმწოდებელთან ხელშეკრულების დადების დღემდე, მაგრამ, არაუგვიანეს 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით;

7. საქონლის მიწოდების ადგილი:

7.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის 33 ლოკაციაზე, საბავშვო ბაღების მისამართებზე, დანართი N5-ის შესაბამისად;

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

8.1.2. საქონელი მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისგან საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.2.2. უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.4.2. მიაწოდოს საქონლის სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით.

9. საქონლის შესაბამისობა ნორმატიულ დოკუმენტებთან:

9.1 რძის პროდუქტები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მათ შორის:

ა) თითოეული მოწოდებული პარტია დამზადებული უნდა იყოს ქარხნული წესით და სათანადოდ ეტიკეტირებული საქართველოს მთავრობის 2016 წლის პირველი ივლისის N301 დადგენილებით დამტკიცებული „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

ბ) რძის პროდუქტები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის N152 დადგენილებით დამტკიცებული რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს, რომელიც აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ რძის, რძის ნაწარმისა და რძის შემცველი პროდუქტის წარმოებისა და ბაზარზე განთავსების პირობებს.

გ) თითოეული მოწოდებული პარტია უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის N581 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით, სურსათის უვნებლობასთან და მიკრობიოლოგიურ რისკებთან მიმართებაში.

დ) რძის პროდუქტები უნდა აკმაყოფილებდეს „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებითა და ნორმებით“ (დამტკიცებულია საქართველოს

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N301/ნ ბრძანებით) განსაზღვრულ ჰიგიენურ მოთხოვნებს საკვები პროდუქციის დამუშავების ეტაპებზე და წარმოებაში პროდუქციის ახალი სახეობის ჩაშვების, მისი გადამუშავების, წარმოების, შენახვის, ტრანსპორტირების, შესყიდვის, ქვეყანაში შემოტანისა და რეალიზაციის დროს (შემდგომში – საკვები პროდუქციის მიმოქცევისას).

ე) რძის პროდუქტები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის N90 დადგენილებთ დამტკიცებული ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესით დადგენილ მოთხოვნებს ბიზნესოპერატორისათვის, რომელიც ეწევა ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას, გადამუშავებასა და დისტრიბუციას.

ვ) რძის პროდუქტები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N72 დადგენილებით დამტკიცებული ,,სურსათთან დაკავშირებული ტარის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დამტკიცების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს სასურსათო პროდუქტის შესაფუთ მასალებსა და ნაკეთობებში ქიმიურ ნივთიერებათა საკონტროლო მაჩვენებლებისა და მიგრაციის დასაშვებ რაოდენობას, რომელიც ზიანს არ აყენებს სურსათს და უვნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ზ) რძის პროდუქტები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უვნებლობის მოთხოვნებს;

თ) რძის პროდუქტები უნდა შეესაბამებოდეს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ი) არსებული ნორმატიული დოკუმენტ(ებ)ის ცვლილების ან/და ახალი ნორმატიული დოკუმენტ(ებ)ის შემოღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტი და მასთან დაკავშირებული გარემოებები შეუსაბამოს შეცვლილ გარემოებებს;

10. მოთხოვნები ტექნიკური აღჭურვილობის მიმართ:

10.1 რძის პროდუქტების ტრანსპორტირება განხორციელდება ოთხი ერთეული სპეციალიზირებული მანქანა რეფრეჟერატორით (მაცივარი), რომლებშიც დაცული იქნება ტრანსპორტირებისათვის აუცილებელი ტემპერატურული რეჟიმი და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. თითოეული მანქანა რეფრეჟერატორი უნდა იყოს აღჭურვილი ტემპერატურილი რეჟიმების გადამოწმების მექანიზმით - რეკორდერით.

10.2 სპეციალიზირებული მანქანა რეფრეჟერატორები(მაცივარი) განისაზღვრება დანართი N4-ით.

11. საქონლის ლაბორატორიული შემოწმება:

11.1 მიმწოდებელი ვალდებულია ერთჯერ თავისი ხარჯებით წარმოადგინოს საქონლის ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევის შესახებ აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული გამოცდის ოქმი;

11.2 ნიმუშის აღება და ლაბორატორიული შემოწმება უნდა განხორციედლეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და სტანდარტების შესაბამისად;

11.3 შემსყიდველი უფლებამოსოლია მიმწოდებელს მოსთხოვოს იმ ლაბორატორიის აკრედიტაციის მოწმობა, სადაც უნდა განხორციელდეს საქონლის ლაბორატორიული შემოწმება, იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტებული ლაბორატორია შერჩეული იქნება მიმწოდებლის მიერ;

11.4 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს საქონლის ლაბორატორიული კვლევა ნებისმიერ დროს;

11.5 საქონლის ქიმური და მიკრობიოლოგიური კვლევის შესახებ შესაბამისი ინფორმაციით, აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული გამოცდის ოქმით, თუ დადასტურდება, რომ მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონელი არ შეესაბამება ხელშკრულებით დადგენილ პირობებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად, უპირობოდ შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიწოდებლის მიმართ გაატაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

12.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

12.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს უფროსი სპეციალისტი კვების დარგში - ლია მოქია;

12.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
12.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები . იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს , მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება:

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

14.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, ყოველ ლოკაციაზე;
14.2 მიწოდებული საქონლის ყოველი პარტიიდან, შემსყიდველის მიერ გარკვეული ნაწილის დაწუნების (უხარისხობის გამო) შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია იმავე დღეს 18:00სთ-მდე ჩაანაცვლოს იგი ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისი საქონლით, სრული მოცულობით, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული მიწოდება ჩაითვლება არასრულყოფილად მიწოდებაში და მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, ყოველ ლოკაციაზე;
14.3 დადგენილ ვადაში განმეორებით შეკვეთილი პარტიის მიუწოდებლობის, დაგვიანებით მიწოდების, არასრულყოფილად მიწოდების, უხარსიხო საქონლის მიწოდების და კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე ადრე, ცალმხრივად შეწყვეტის საკითხი და მიმწოდებლის მიმართ გაატაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებები;
14.4 დასარიცხი პირგასამტეხლოს დღეების ოდენობა განისაზღვრება მომდევნო მიწოდების დღემდე;
14.5 მიმწოდებლს, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით;
14.6 მიმწოდებლს, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა:

15.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
15.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
15.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი

ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა:

16.1 წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს:

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს;

16.2 შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

16.3 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

17. დავების გადაწყვეტა:

17.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

18. დაუძლეველი ძალა:

18.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

18.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა წერილობით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

18.3 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 20 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია: 2021 წლის 26 თებერვლიდან 2021 წლის 1 მაისამდე;

20. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“
მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N42
საიდენტიფიკაცო კოდი: 445 393 510
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ა/ნ 740737005

მიმწოდებლი:
შპს „ჰელსი ფუდ“
მის : ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქN51
საიდენტიფიკაცო კოდი: 443859246
სს ,,თიბისი ბანკი''
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ: GE29TB7942036080100002

თენგიზ აფხაზავა

ნინო ებიაშვილი

nino ebiashvili

Digitally signed by nino ebiashvili
Date: 2021.02.26 16:39:06 +04'00'

დანართი N1 - ტექნიკური მახასიათებელი

N	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებელი
1	პასტერიზებული რძე	პასტერიზებული ძროხის რძე; მცენარეული ცხიმების გარეშე; კონსისტენცია ერთგვაროვანი; არადამახასაიათებელი სუნისა და გემოს გარეშე, არ შეიცავს მავნე ქიმიურ ელემენტებს; მოწოდებული რძის დარჩენილი ვარგისანობის ვადა: საერთო ვადის არანაკლებ 60%; შენახვის ვადა: 6 თვე; ცხიმის მასიური წილი: 2.5%; შეფუთვა: ქარხნული წესით, ჰერმენტულად დახურული ტეტრაპაკი; დაფასოება: 1ლტ;
2	მაწონი	დამზადებული ქარხნული წესით, პასტერიზებული, ნორმალიზებული რძისაგან; მცენარეული ცხიმების გარეშე; კონსისტენცია ერთგვაროვანი; არადამახასაიათებელი სუნის და გემოს გარეშე მაწონი არ არის მჟავე; მავნე ქიმიურ ელემენტების გარეშე; მოწოდებული საქონლის დარჩენილი ვარგისანობის ვადა: საერთო ვადის არანაკლებ 80%; ცხიმის მასიური წილი: 3.2%; დაფასოება: ჰერმეტულად დახურული, 1-5კგ;
3	არაჟანი	დამზადებული პასტერიზებული, ნორმალიზებული რძისაგან, მცენარეული ცხიმების გარეშე; არადამახასიათებელი გემოს გარეშე; მავნე ქიმიურ ელემენტების გარეშე; მოწოდებული საქონლის დარჩენილი ვარგისანობის ვადა: საერთო ვადის არანაკლებ 80% ცხიმიანობა: 15%, დაფასოება: ჰერმეტულად დახურული, 0.4 -2კგ;
4	ხაჭო	დამზადებული პასტერიზებული, ნორმალიზებული რძისაგან, მცენარეული ცხიმების გარეშე; თეთრი მოყვითალო ფერის; სიმჟავისა და არადამახასიათებელი გემოს გარეშე; არ შეიცავს მავნე ქიმიურ ელემენტებს; მოწოდებული საქონლის დარჩენილი ვარგისანობის ვადა: აერთო ვადის არანაკლებ 80%; რძის შემადგენელი კომპონენტის მასიური წილი: არანაკლებ-75%; ცხიმიანობა: 6%. დაფასოება: ჰერმეტულად დახურული, 1 -5კგ-იან;

დანართი N2 - ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	პასტერიზებული რძე	ლიტრი	21000	3.10	65100
2	მაწონი	კგ	6000	3.40	20400
3	არაჟანი	კგ	400	8	3200
4	ხაჭო	კგ	1200	9	10800
ჯამი					**99500**

დანართი N 3 - ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნისა და მწარმოებლის შესახებ

N	საქონლის დასახელება	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი
1	პასტერიზებული რძე	საქართველო	შპს „სანტე ჯი ემ თი“
2	მაწონი	საქართველო	შპს „ქართული რძის პროდუქტები“
3	არაჟანი	საქართველო	შპს „ქართული რძის პროდუქტები“
4	ხაჭო	საქართველო	შპს „ქართული რძის პროდუქტები“

დანართი N4 - ინფორმაცია სპეციალიზირებული მანქანა რეფრეჟერატორების (მაცივარი) შესახებ

N	მწარმოებელი	მოდელი	რაოდენობა	საკუთრების ფორმა
1	MERCEDES-BENZ	SPRINTER	2 (ორი)	საკუთრება
2	FORD	TRANZIT	1 (ერთი)	იჯარა
3	MERSEDES-BENZ	SPRINTER 312D	1 (ერთი)	იჯარა

დანართი N5 - მისამართები

საბავშვო ბაღი	მისამართი
N1	ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ N25
N2	ქ. ბათუმი, ვ. ფშაველას ქ N5
N3	ქ. ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N51
N4	ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N8
N5	ქ. ბათუმი, გ. მაზნიაშვილის ქ. N28
N6	ქ. ბათუმი, შ. ინასარიძის ქ. N22 ა
N7	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N17
N8	ქ. ბათუმი, შ. ინასარიძის ქ. N4 ა
N9	ქ. ბათუმი, ნ. ფიროსმანის ქ. N9
N10	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N14
N11	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N5
N12	ქ. ბათუმი, ა. წერთლის ქ. N30
N13	ქ. ბათუმი, ი. ანდრონიკაშვილის ქ. N44
N14	ქ. ბათუმი, ვ. ფშავალას ქ. N83
N15	ქ. ბათუმი, ი. ჭავჭავაძის ქ. N65
N16	ქ. ბათუმი, ა. პუშკინის ქ. N113
N17	ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N104
N18	ქ. ბათუმი, ვ. მაიაკოვსკის ქ. N3
N19	ქ. ბათუმი, სვიშევსკი ქ. N1
N20	ქ. ბათუმი, ჯ. ქათამაძის ქ. N38
N22	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზ. I შეს. N4
N23	ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N281
N24	ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N318
N25	ქ. ბათუმი, კახაბრის უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N102
N26	ქ. ბათუმი, მწვანე კონცხის უბანი იბერიის ქ. N2
N27	ქ. ბათუმი , მ. ლერმონტოვისა და ს. ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ
N28	ქ. ბათუმი, ადლიის დასახლება, კოტე აფხაზის ქ N4
N29	ქ. ბათუმი, გონიოს დასახლება, პეტრე იბერის ქN1
N30	ქ. ბათუმი, ბარცხანის დასახლება, ი. ნონეშვილის ქ N 60
N31	ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. N14
N32	ქ. ბათუმი, კახაბრის დასახლება, ფრიდონ ხალვაშის XII ჩიხი
N33	ქ. ბათუმი, ურეხის დასახლება, მამია ვარშანიძის I შესახვევი
N34	ქ. ბათუმი, თამარის დასახლება, ც. დადიანის ქN14